

თამთა ფარულავა

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

**ინტერტექსტუალური თამაშები -
ორჰან ფამუქის „მე წითელი მქვია“**

რეზიუმე

სტატია განიხილავს ორჰან ფამუქის პოსტმოდერნისტული რომანისა („მე წითელი მქვია“) და ნიჰამი განჯელის თხზულების („ხოსროვი და შირინი“) ტექსტთა შორის ნათესაობისა და დიალოგის საკითხს. ფამუქის რომანის ეს ინტერტექსტუალობა ალუზიური, თუმცა საკმაოდ გამჭვირვალეა („მე წითელი მქვია“ უმეტესად პირდაპირ გვისახელებს ნიჰამის თხზულებასა და მის პასაჟებს).

თურქული რომანის ინტერტექსტუალობის ერთ-ერთი ფუნქცია განმარტება, ახსნა, კომენტირებაა. გარდა ამისა, ის კარგი საშუალებაა პერსონაჟის პორტრეტის ხატვისათვის. მნიშვნელოვანია გამაერთიანებელ ფუნქციაც, რომელიც სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ნიმუშებს ერთმანეთს აახლოებს. უპირველესად კი, ინტერტექსტუალობა აქ გვიმჟღავნებს ავტორის შემოქმედებით სტილს.

ორჰან ფამუქის რომანის ინტერტექსტუალობა ჩარჩოსებული კომპოზიციის თავისებურ ფორმასაც მოგვაგონებს. აქ ერთმანეთს ორი მყარი, მონოლითური სტრუქტურის სიუჟეტი ეხლართება. პოსტმოდერნიზმმა ეს სიუჟეტები ერთმანეთის გამჭოლ პარალელურ სივრცეებში გადაანაწილა, და ამით რომანში ჭეშმარიტი დიალოგისათვის ასპარეზი შექმნა.

საკვანძო სიტყვები: ნიჰამი, ფამუქი, ინტერტექსტუალიზმი, ჩარჩოსებული თხრობა

ორჰან ფამუქის რომანის, „მე წითელი მქვია“, სიუჟეტი XVI საუკუნის სტამბოლში ვითარდება, თუმცა მასში განსაკუთრებით მრავლადაა და, შესაბამისად, საგულისხმო ჩანს თხრობის ის რეალიები, რომლებიც რომანს ირანულ კულტურასთან, კლასიკური სპარსული ლიტერატურის შედევრებთან, ჰერატის მინიატიურული ხელოვნების ცნობილ სკოლასთან აკავშირებს. ეს კავშირი სხვადასხვა სახის ლიტერატურულ ნათესაობასა თუ გავლენას ბევრად აჩარბებს.

„მე წითელი მქვია“ პოსტმოდერნისტული რომანის მრავალ დეტალს ამთლიანებს.

პოსტმოდერნიზმი მწერლობაში ხშირად „ციტირებულ“ ლიტერატურას უკავშირდება, ანუ ისეთ ტექსტებს, რომელიც მოზაიკის მსგავსად სხვათა ტექსტებითაა აგებული. ზოგჯერ ავტორი შეგნებულად გვთავაზობს და ცხადად მიგვანიშნებს ამგვარ ციტაციაზე, „ნასესხებ“ წყაროზე, თუმცა ხშირია ანონიმური ან გაუაზრებელი ციტირებანი, როცა ტექსტს კულტურა ქმნის; ქმნის მას წინარე

თუ თანადროულ ეპოქათა ცნობილი ლიტერატურული, ისტორიული, ფილოსოფიური თხზულების, ფოლკლორული მემკვიდრეობის გადამუშავებით. ფიქრობენ, რომ „ნებისმიერი ტექსტი სხვა ტექსტთა შეთვისებისა და ტრანსფორმაციის შედეგია“¹. მეორე მხრივ, ტექსტის ახლებურმა ხედვამ ავტორის „სიკვდილის“ გააზრება მოიტანა (როლან ბარტი). იმ ილუზიას, რომ ავტორი „მოკვდა“ ფამუქის რომანში ერთი სტრუქტურული ხერხიც ამყარებს - აქ ნარატივს ერთი პირი კი არ ქმნის, არამედ ბევრი, უფრო ზუსტად, აქ არსად ჩანს ავტორი-მთხრობელი. სიუჟეტი რამდენიმე სხვადასხვა პერსონაჟის მონათხრობით იკვრება. მთხრობლის როლში უფრო ხშირად მთავარი გმირები - შექურე და ყარა - გვხვდებიან, თუმცა სიუჟეტი მოიცავს ესთერისა თუ ორჰანის, ენიშთესა თუ ოსტატ ოსმანის, მხატვრების: ქელებექის, ლეილექის, ზეითინის, მოკლული ზარიფის, მკვლელის, აგრეთვე - ხის, ფულის, ცხენის, თავად სიკვდილის, წითელი ფერისა თუ სატანის ნაამბობს. მრავალი მთხრობლის სტრუქტურამ კიდევ უფრო გამოკვეთა ტექსტის „მოზაიკური“ ბუნება.

ზოგადად, ინტერტექსტუალობა - ტექსტთა შორის მეტად თუ ნაკლებად ცხადი კავშირი და დიალოგი - რასაკვირველია, უცხო და ახალი მოვლენა არ არის სიტყვიერი კულტურისათვის და მას მხოლოდ პოსტმოდერნიზმის მახასიათებლად ვერ მივიჩნევთ. როგორც უმბერტო ეკო შენიშნავს, „წიგნები სხვა წიგნებზე საუბრობენ და ყოველი ამბავი უკვე მოყოლილ ამბავს გვიყვება. ეს იცოდნენ ჰომეროსმა და არიოსტომ, რაბლესა და სერვანტესზე რომ აღარაფერი ვთქვათ“². რასაკვირველია, ეს იცოდნენ შუა საუკუნეების იგივეობის ესთეტიკის მიმდევრებმაც, ეს იცოდა ნიჰამიმ, რომელმაც ფირდოუსის ეპოსის მასშტაბური მხატვრული ქსოვილიდან ერთი ფაბულა აიღო და მას ახალი ესთეტიკური კანონიკით შეასხა ხორცი. რაღა თქმა უნდა, ეს იცოდნენ ნიჰამი განჯელის ლიტერატურულმა მემკვიდრეებმაც, რომლებმაც ნიჰამის „ხამსეს“ (ხუთწიგნულის) მიმბაძველობის ტრადიციას დაუდეს სათავე.

მეოცე საუკუნემ ინტერტექსტუალიზმს ახალი სამოქმედო სივრცე და ახალი ეპოქისათვის ნიშნული მსუბუქი ირონია შემატა. ეს სიმსუბუქე და ერთგვარი თამაშის ხასიათი პოსტმოდერნისტული ინტერტექსტუალიზმის მახასიათებლად იქცა. სპარსული კლასიკური ლიტერატურა და მისი გმირები სწორედ პოსტმოდერნული „სამოსით“ შემოდიან ფამუქის რომანში.

„მე წითელი მქვია“ აცოცხლებს და სიუჟეტურ ქსოვილში ორგანულად ადგილს უძებნის სპარსული ლიტერატურის პასაჟებს, პერსონაჟებს, სპარსული კულტურის მოღვაწეთა სახეებსა და დეტალებს მათი შემოქმედების შესახებ, ისტორიულ რეალიებს. ჩვენ, ძირითადად, ნიჰამი განჯელის სამიჯნურო პოემის, „ხოსროვი და შირინის“, ტექსტთან ურთიერთობის საკითხებზე შევჩერდებით.

ხოსროვი და შირინი თითქოს არაფრით ჰგვანან სტამბოლში, ფამუქის რომანში, დასახლებულ ყარასა და შექურეს, მაგრამ მთხრობელნი (მათ შორის, თვით მთავარი გმირები) მრავალგზის მიგვანიშნებენ მათს მსგავსებაზე. ნიჰამის პოემის მიჯნურებს ფამუქის რომანის სიუჟეტის მამოძრავებლად ვერ მივიჩნევთ, მაგრამ ისინი მაინც აქტიურად თანამონაწილეობენ მასში. „მე წითელი მქვია“

¹ Юлия Кристева, Французская семиотика - От структурализма к постструктурализму: Бахтин, слово, диалог и роман (Москва: 2000), 429.

² უმბერტო ეკო, ვარდის სახელი (თბილისი: დიოგენე, 2011), 701.

ნარატიული ნაწილი ყარასა და შექურესთან ერთად ხოსროვისა და შირინის სამიჯნურო ამბებსაც იტევს და პოსტმოდერნისტული „მოზაიკა“ სიუჟეტურ „ფილებს“ ისე განალაგებს, რომ ნიჰამის თხზულების პერსონაჟები საუკუნეთა სიღრმიდან ცხადად განსაზღვრავენ ფამუქის რომანის გმირთა ბედისწერას, მიმართულებას აძლევენ მათს ფიქრებსა თუ მოქმედებებს.

მიიჩნევა, რომ მხატვრული ტექსტისათვის უფრო ბუნებრივია შეფარული, ნაკლებად მკაფიო თუ ალუზიური ციტაცია. ფამუქის რომანის ინტერტექსტუალიზმი ალუზიური, თუმცა საკმაოდ გამჭვირვალეა. უფრო მეტიც, ავტორი უმეტესად პირდაპირ გვისახელებს ინტერტექსტის³ თხზულებასა და მის ავტორს, ხშირად კონკრეტულ სცენებსაც კი და ამგვარად „ვიზირებულ“ პასაჟს მოიხმობს ხოლმე საკუთარ ტექსტში.

გვერდს ავუვლით იმის ზუსტ აღნუსხვას, თუ რამდენგზისაა მოხსენიებული ხოსროვი და შირინი თურქულ რომანში (თითქმის ყოველ თავში და ხშირად მრავალგზის). მხოლოდ იმ ინტერტექსტზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომელიც ნიჰამის პოემის ცალკეულ ეპიზოდებს გადმოგვცემს. „ხოსროვისა და შირინის“ ის ეპიზოდი, რომელშიც ხოსროვს მისივე ვაჟი - შირუიე - კლავს, ოთხგზისაა ნახსენები, ხოსროვისა და შირინის შეხვედრა ზამთრის თოვლიან დღეს შირინის კომკთან, რომლის დროსაც ქალი ვაჟს კომკში არ უშვებს - ექვსჯერ, სურათის მეშვეობით გამიჯნურების ამბავი - ცხრაჯერ, ხოსროვი რომ მობანავე შირინს შორიდან შეფარვით უჭრეტს - ექვსჯერ.

მიიჩნევენ, რომ ინტერტექსტუალობის ჯაჭვში მკითხველი აუცილებელი რგოლია. ზოგადად, ინტერტექსტუალიზმი უშუალოდ უკავშირდება მკითხველის მიერ ტექსტებს შორის ურთიერთობის გააზრებას. რომანის მართებული წაკითხვისათვის შესაბამისი მკითხველია საჭირო, რასაკვირველია, ისეთი მკითხველი, რომელსაც ინტერტექსტის ამოცნობა, გახსენება, მისი აზრობრივი კონსტრუირება შეუძლია, ჩვენს შემთხვევაში კი - ისეთი მკითხველი, რომელიც იცნობს კლასიკურ სპარსულ ლიტერატურას, უპირველესად - ნიჰამის თხზულებას. ტექსტის ამგვარი სტრუქტურა ორმაგ დიალოგს ქმნის: ერთი მხრივ - ფამუქისა და ნიჰამის რომანების გმირებს შორის და მეორე - ავტორსა და მკითხველს შორის (უმბერტო ეკოს ინტერპრეტაციით). ფამუქის რომანში მკითხველის ფუნქციის გააზრებისას ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ, უპირველესად, თავად რომანის გმირები გვევლინებიან მკითხველებად, ისინი ეძებენ, ქმნიან და წარმოგვიჩენენ აზრობრივ კავშირს ინტერტექსტთან (იქნებ იმიტომაც, რომ მათ ტექსტში მთხრობლის ფუნქციაც აქვთ შეთავსებული).

ნიჰამი განჯელის თხზულებასთან ფამუქის რომანის მკითხველის პირველ შეხვედრას ჰერათის სამხატვრო სკოლის დიდი მინიატიურისტი - ბეჰზათ ქემალედინიც - „ესწრება“. მკვლელი (თურქული რომანიდან) სწორედ მის ნახატს იხსენებს - ილუსტრაციას „ხოსროვისა და შირინის“ სისხლიანი ბოლო სცენისას: „გახსოვთ ამ დესტანის დასასრული? ნიჰამის „ხოსროვი და შირინზე“ მოგახსენებთ, ფირდოუსისა კი არა. მიჯნურებს რა არ გადახდებათ თავს, რა ქარიშხლებში არ გამოივლიან და ბოლოს, როგორც იქნება, დაქორწინდებიან.

³ ჩვენ ნასესხები, ციტირებული ტექსტის აღსანიშნავად *ინტერტექსტს* გამოვიყენებთ. გვხვდება სხვა ტერმინებიც - ქრესტომათიულ ტექსტს ზოგჯერ *პრატექსტს* (*პროტოტექსტს*) უწოდებენ, ან *არქეტექსტს*, *პრეცედენტულ ტექსტს*, *სუბტექსტს* და სხვ.

ხოსროვს პირველი ცოლისაგან ვაჟი ჰყავს, შირუი - ნამდვილი სატანა, რომელსაც მამამისისათვის ტახტისა და ახალგაზრდა ცოლის წართმევის ჟინი კლავს. ეს ბოროტი შირუი ... ერთ ღამეს შეიპარება ოთახში, სადაც ხოსროვსა და შირინს ტკბილად სძინავთ, სიბნელეში ხელის ცეცებით პოულობს მათ და ხოსროვს ღვიძლში ხანჯალს უყრის. ხოსროვი დილამდე სისხლისაგან იცლება, შირინი კი ვერაფერს იგებს⁴. ეს თავი („მკვლელიაო, იტყვიან ჩემზე“), მკვლელის ეს აღსარება ამთლიანებს რომანის სიუჟეტური და სტილური თავისებურების მრავალ დეტალს. აქ უკვე ცხადდება, რომ ჩვენ წინაშეა პოსტმოდერნისტული აზროვნების კლასიკურ ნიმუში, უკვე მკაფიოდ გვესმის „ინტერტექსტუალურობის ექო“ და თავს გვახსენებს უმბერტო ეკო: „წიგნები სხვა წიგნებზე საუბრობენ და ყოველი ამბავი უკვე მოყოლილ ამბავს გვიყვება“⁵. აქვე ვიაზრებთ, რომ ეს არ არის მხოლოდ ტექსტი, ესაა ტექსტი ტექსტთა, სიუჟეტთა, სტილთა შესახებ. ამავე ეპიზოდში ცხადდება, რომ ეს წიგნი დეტექტივია. აქ იკვეთება ყველა ძირითადი ღერძი: ნიზამის თხზულების ამ პასაჟში დეტექტიურს მოჰყვება სამიჯნურო თემატიკა. თუ ხოსროვისა და შირინის სიყვარულის ისტორია ხოსროვის მკვლელობით სრულდება, ფამუქის რომანს მკვლელობის ამბავი იწყებს და ის თანდათანობით სამიჯნურო ისტორიას ეხლართება.

ამ ეპიზოდში თანაარსებობენ მკვლელი, ნიზამის გმირები, დიდი ბეჰზადი, და მისი მინიატურიდან გადმოსული უცნაური პერსონაჟი - წითელი ფერი (რომელიც ჯერ პერსონაჟად არ გაფორმებულა). აქ აღმოაჩენს პირველად მკითხველი ტექსტში თანამყოფობის უცნაურ განცდას⁶ (ესეც პოსტმოდერნიზმის მემკვიდრეობიდან): „დიდი ბეჰზადის სურათი არა მხოლოდ ამბავს გადმოსცემს, არამედ ამ ამბის თანმხლებ შიშსა და ძრწოლასაც: შუალამისას სიბნელეში გაიღვიძებთ და მიხვდებით - ოთახში ვიღაც დადის, წარმოიდგენთ, რომ იმ ვიღაცას ცალ ხელში ხანჯალი უჭირავს, მეორით ყელში ჩაგფრენიათ და გახრჩობთ“⁷.

ზოგჯერ თურქული რომანის გმირი დიდი სიზუსტით იმეორებს სხვა რომანის გმირის ქცევასა და სიტყვებს, ისე გაიაზრებს თავის მდგომარეობას, თითქოს გარედან უყურებდეს საკუთარ თავს და იქვე - სხვა პერსონაჟის ქცევამაც ნიზამის

⁴ ორჰან ფამუქი, მე წითელი მქვია (თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2017), 27.

⁵ უმბერტო ეკო, ვარდის სახელი (თბილისი: დიოგენე, 2011), 701.

⁶ რომანის პერსონაჟები ზოგჯერ პირდაპირ მიმართავენ მკითხველს, თანაც ისე, რომ ეს უკანასკნელი რომანის სიუჟეტის დროსა და სივრცეში მოიაზრება („სულაც არ მინდა გაიგოთ, ქელებექი ვარ, ზეითინი თუ ლეილექი. ეს თუ გაიგეთ, ხომ გაიქცევით და ბოსთანჯიბაშის ხელში ჩამაგდებთ“ (ფამუქი, მე წითელი მქვია, 131); „თქვენ ჩუმაღ და მშვიდად მისმენთ. ამით ვხვდებით, რომ უკვე იცით, რაც ამ ოთახში მოხდა. ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ მაინც. ახლა ის გაინტერესებთ, მე რა განვიცადე, რა ვიგრძენი“ (გვ. 230); ამ თვალსაზრისით, რომანის ბოლო აბზაცი განსაკუთრებით საინტერესოა. აქ შექურე კიდევ ერთხელ მიმართავს უშუალოდ მკითხველს და, იმავდროულად, ორჰანს, რომელიც სიუჟეტის მიხედვით, მისი შვილია, რომანის ავტორად აცხადებს (თითქოს ავტორიც სიუჟეტში შეჰყავს): „ჩემი ორჰანი - ყოველთვის მოუსვენარი და უხასიათო - არასოდეს ერიდება, უსამართლოდ მოექცეს იმათ, ვინც გულზე არ ეხატება. ამიტომ ნუ დაუჯერებთ, თუ ყარას უფრო თავგზააბნეულად წარმოგიდგენთ, ვიდრე სინამდვილეშია, ჩვენს ცხოვრებას - ძალიან მძიმედ, შევქეთზე თუ იტყვის, ცუდიაო, მე იმაზე ლამაზად გამომიყვანს, ვიდრე ვარ. ოღონდ მოთხრობა ლამაზი გამოვიდესო, რას არ მოიგონებენ. ჩვენც დაუჯეროთ“ (გვ. 517).

⁷ ფამუქი, მე წითელი მქვია, 27-28.

თხზულების კვალს ეძებს: „გულგახეთქილი ლურჯკარიან ოთახში დავბრუნდი. მევდი თუ არა ყარა მეცა. ხელი ვკარი, მაგრამ კი არ გავბრაზებულვარ - თავადაც არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი. სინათლის მკრთალ შუქზე წავიძიძგილავეთ. გვსიამოვნებდა, როცა ერთმანეთს ვეჯახებოდით. ჩემი არეული გონება ნიზამის „ხოსროვშირინიანში“ აღწერილ შირინის სულიერ მდგომარეობას ჰგავდა. მეც შირინივით ვამბობდი: „ტუჩებში არ მაკოცო, არ გამიცვითო“, სინამდვილეში კი იგულისხმებოდა: „მაკოცე“. ნეტავი თუ ხვდებოდა ამას ყარა, რომელმაც ასე კარგად იცოდა ნიზამი?“⁸.

განსაკუთრებით საგულისხმო ჩანს ფამუქის რომანის ერთი პასაჟი, რომელიც ცხად პარალელებს ავლებს ნიზამის თხზულებასთან. ავტორი პერსონაჟებს ნიზამის „ხოსროვსა და შირინზე“ უშუალოდაც ალაპარაკებს და უფრო შენიღბული პარალელებიც იკითხება.

თორმეტი წლის თავზე სტამბოლში დაბრუნებული ახალგაზრდა კაცი სატრფოს მოსანახულებლად ქალის მამის სახლს სტუმრობს. მშვენიერი შექურე მას ჩუმად უგზავნის წერილს იუდეველი ესთერის ხელით და მასვე ავალებს, უცნაური შეხვედრის ადგილი ასწავლოს ვაჟს: „ცხენზე შეჯექი და თოხარიკით წაიყვანე. ამ კედელს მიჰყევი, მარჯვნივ გაუხვიე, არაფერი შეიმჩნიო. ბროწეულის ხესთან რომ მიხვალ, შებრუნდი და შეხედე იმ სახლს, საიდანაც გამოხვედი, ფანჯარას დაინახავ“.

აქვეა დახატული ქალ-ვაჟის შეხვედრის სცენაც:

„ჩემ წინ მართლა იყო ფანჯარა, მაგრამ იქ არავინ ჩანდა. მომატყუა იმ კუდიანმა ესთერმა! ამის გაფიქრება და, შეჭირხლული დარაბა ჭახანით გაიღო, თითქოს გასკდაო. იქ, მზით განათებული ფანჯრის ჩარჩოში, დათოვლილ ტოტებს შორის, ჩემი თორმეტი წლის უნახავი სატრფოს ლამაზი სახე დავინახე. ჩემი შავთვალემა მე მიყურებდა, თუ - ჩემ მიღმა სხვა ცხოვრებას? ვერ გავიგე სევდიანი იყო თუ მოდიმარი, იქნებ სევდიანად მიდიმოდა?.. ვუცქირე, ვიდრე იღუმალებით მოცული ნატიფი სახე არ გაუჩინარდა“⁹.

გათვითცნობიერებული მკითხველისათვის ინტერტექსტი უკვე აქ იკითხება, მაგრამ რომანი თავის ტრადიციას მტკიცედ მიჰყვება და ციტაცია უფრო მეტად ცხადი, მეტად ექსპლიციტური ხდება. ფამუქის რომანის მთავარი გმირი აქ პირდაპირ იხსენებს ნიზამის პოემის სიუჟეტს: „მერე, როცა წერილი გავხსენი და იქიდან სურათი გადმოვარდა, მიხვდი, როგორ ჰგავდა ჩვენი შეხვედრა ხოსროვისა და შირინის შეხვედრას, ხშირად რომ ხატავენ ხოლმე - ხოსროვი შირინის ფანჯრის ძირას, მე - ცხენზე ამხედრებული, ის - ფანჯარაში, თუმცა ჩვენ შორის ერთი მოწყენილი ხეც იდგა.“

მე სიყვარულის ცეცხლში ვიწვოდი ისე, როგორც იმ წიგნებშია აღწერილი, ძალიან რომ გვიყვარდა“¹⁰.

რომელ წიგნებს გულისხმობს პერსონაჟი-მთხრობელი? ზამთრის ყინვით შეჭირხლულ ამ პეიზაჟს ნიზამის პოემაში გადავყავართ (და კიდევ უფრო შორს, გორგანის „ვის ო რამინის“ ანალოგიური სცენის შუაგულშიც). ყარასა და შექურეს „დისტანციური“ შეხვედრა თოვლიან მზეში ხოსროვისა და შირინის შეხვედრის

⁸ ფამუქი, მე წითელი მქვია, 267-268.

⁹ ფამუქი, მე წითელი მქვია, 49.

¹⁰ ფამუქი, მე წითელი მქვია, 49.

სცენის განმეორებაა. სხვა ქალზე დაქორწინების მიუხედავად, ხოსროვი ვერ ივიწყებს შირინს და მიჯნურის კომპისაკენ მიდის ნადირობის საბაბით. შირინი კი კომპის კარს არ უღებს მეფეს და შორიდან ესაუბრება. იქაც ზამთრის პეიზაჟი, თოვლი, მოახლე ქალი, ცხენი, დიალოგად შენიღბული მონოლოგი, შინაგანი დაპირისპირება, სიყვარულის, საყვედურის, სინანულისა და სხვა განცდათა ქაოსური მთლიანობა¹¹. ნიზამის პოემის ეს ეპიზოდი, თავის მხრივ, სპარსული ლიტერატურის უფრო ადრეულ თხზულებასთან, „ვის ო რამინთან“ და მის ანალოგიურ ეპიზოდთან არის დაკავშირებული. სამეცნიერო ლიტერატურაში ვრცელადაა დამუშავებული ამ სცენათა მსგავსება-ნათესაობის საკითხი¹².

ფამუქი თავისი პერსონაჟების ხატვისას საუკუნეთა წინ შექმნილ მხატვრულ პორტრეტებს იყენებს. გვიცხადებს, რომ ყარასა და შექურეს სასიყვარულო ურთიერთობა ხოსროვისა და შირინის სამიჯნურო განცდის სპეციფიკას იმეორებს: აქაც ვხედავთ სიყვარულის ამბივალენტურ ბუნებას, მრავალ დაბრკოლებასა და მახეს, გრძნობათა ხანგრძლივ გამოცდას. ეს ამბავი და ასეთი განცდები უკვე აღწერილია. ავტორი თითქოს დროს ზოგავს, მკითხველთათვის კარგად ნაცნობ სიტუაციურ კლიშეებს გვთავაზობს, რათა უფრო ნათლად და უფრო ლაკონიურად გადმოსცეს ამბავი¹³.

შირინის მსგავსად შექურემ, ყარამ და ესთერმაც კი იციან, რა აზრი იკითხება სურათის გაგზავნაში („მე, იუდეველმა ესთერმაც კი ვიცი, თუ როგორ შეუყვარდა მშვენიერ შირინს ხოსროვი, როცა მან სურათს შეხედა. სტამბოლელი ქალები ამ დასთანზე გიჟდებიან, მაგრამ პირველად ვხედავ, სურათი გაეგზავნოთ“¹⁴).

ზოგჯერ ინტერტექსტი დამატებითი ფილტრის (წიგნის ილუსტრაციები) გავლითაა ჩართული რომანის ძირითად ტექსტში. შირინის კომპთან ქალ-ვაჟის შეხვედრის ამბავი რომანში ამგვარი ფორმითაც გვხვდება. მთავარი გმირი, ყარა, ოსტატ ოსმანთან ერთად ფადიშაჰის განძთსაცავში ძველ ნამუშევრებს ათვალიერებს - „ზოგი სურათი ერთმანეთს ჰგავდა. მომბეზრდა მათი ყურება. აი, ხოსროვი შირინის სანახავად სასახლის სარკმელთან მისულა“¹⁵. აქ ნიზამის სიუჟეტი წყდება. ინტერტექსტი მხოლოდ ერთი წინადადებითაა წარმოდგენილი, თუმცა იგულისხმება, რომ ამ უმნიშვნელოვანესი ეპიზოდის შინაარსი მკითხველმა კარგად იცის, მის გონებაში ბუნებრივად უნდა გაიშალოს სრული ამბავი.

ორჰან ფამუქის რომანის ინტერტექსტუალობა ჩარჩოსებური კომპოზიციის თავისებურ ფორმას მოგვაგონებს. მაგრამ ცხადია, ეს არაკების კრებული არ არის, არც გარე ჩარჩოს ნარატივი არაა ფაშარი ქსოვილით შექმნილი. აქ ერთმანეთს ორი მყარი, მონოლითური სტრუქტურის სიუჟეტი ეხლართება. ტრადიციულ ჩარჩოსებურ თხრობაში ჩარჩო და საილუსტრაციო მასალა იშვიათად და მხოლოდ

¹¹ ნიზამი განჯელი, „ხოსროვი და შირინი“ (სპარსულ ენაზე)

<https://ganjoor.net/nezami/5ganj/khosro-shirin>

¹² А.А. Гвахария, „Вис о Рамин“ Фахраддина Горгани и „Хосров о Ширин“ Низами Гянджеви“, თსუ შრომები, 116 (1965): 199-207.

¹³ „მე წითელი მქვია“ მიჯნურთა ბავშვობიდან ერთად გაზრდის, სურათით გამიჯნურების კონვენციურ მოტივებსაც გვთავაზობს.

¹⁴ ფამუქი, მე წითელი მქვია, 52.

¹⁵ ფამუქი, მე წითელი მქვია, 385.

საუკეთესო შემთხვევაში ქმნის მტკიცე ერთობას¹⁶. ფამუქთან კი არსებითია სიუჟეტური ნათესაობა გარე ჩარჩოს ამბავსა და ინტერტექსტის ამბავს შორის. ინტერტექსტი ავსებს, ამინაარსებს ჩარჩოს სიუჟეტს. რომანის გმირები - შექურე, ყარა თუ სხვანი - იხსენებენ და ჰბაძავენ ნიჟამის პოემის გმირებს, იმეორებენ მათს სიტყვასა თუ ნაბიჯებს, ქმნიან ანალოგიურ სიტუაციებს.

ჩარჩოსებური პირველსახე სხვადასხვა სიტუაციაში გვახსენებს თავს, მაგალითად - მაშინ, როცა ფამუქის რომანის ჩარჩო-სიუჟეტი ბეჰზადის (ან სხვა მინიატიურისტის) ნამუშევარს წარმოგვიდგენს, ხოლო თავად ბეჰზადის ნახატი ნიჟამის თხზულების ამბავს გვისურათებს. ჩარჩოში ჩარჩოების ჩასმის ვირტუოზულ თამაშად წარმოგვიდგება ის პასაჟი, როცა ფამუქის რომანის გმირი ნიჟამის სიუჟეტის მიხედვით შექმნილ ძველ მინიატურას - სურათს იხსენებს, ეს მინიატიურა კი კიდევ ერთ სხვა სურათს ასახავს: „როცა სურათში სურათს, ანუ, შირინის მიერ ხოსროვის სურათის ნახვის ამბავს ხატავენ, ხოსროვის სახე ყოველთვის მქრქალია“¹⁷.

„მე წითელი მქვია“ ჩარჩოსებური თხრობის კლასიკურ ნიმუშებსაც გვთავაზობს: შექურე შვილებს ძილის წინ ზღაპარს უამბობს: „ახლა მომისმინეთ: იყო ერთი უფლისწული. უფლისწულს ერთი ძალიან, ძალიან ლამაზი ქალი შეუყვარდა. ეს როგორ მოხდა? ვიდრე იმ ქალს ნახავდა, მანამდე მისი სურათი ნახა და სწორედ იმ სურათით შეუყვარდა“¹⁸. გარე ჩარჩოში ჩასმული ამბავი აქაც წყდება - იგულისხმება, რომ იგი საიმედო მკითხველის მეხსიერებაში უკვე არსებობს და მისი სიუჟეტური ხაზი თავისთავად გრძელდება.

თუ მივიჩნევთ, რომ ფამუქის რომანის სტრუქტურის ჩარჩოსებურ კომპოზიციასთან შედარება ლეგიტიმურია, მაშინ გარკვეულწილად ტექსტისა და ინტერტექსტის, ორი სიუჟეტური ჩარჩოს „თანაბარუფლებიანობაც“ უნდა ვაღიაროთ. პოსტმოდერნიზმმა ეს სიუჟეტები ერთმანეთის გამჭოლ პარალელურ სივრცეებში გადაანაწილა, და ამით რომანში ქეშმარიტი დიალოგისათვის ასპარეზი შექმნა.

როგორც როლან ბარტი აცხადებს, „ტექსტი ციტატებისგანაა მოქსოვილი და ათასობით კულტურულ პირველწყაროზე მიგვითითებს“¹⁹. ფამუქის რომანის მოზაიკაც ნიჟამის „ხოსროვისა და შირინის“ „ფილების“ გარდა, სხვა საინტერესო მასალასაც ამთლიანებს: „შაჰნამეს“, „ვისრამიანს“ და ბოლოს - იოსების ბიბლიურ ამბავსაც, რომელიც თავისებური სახით აღმოსავლეთისა და დასავლეთის მრავალი ხალხის სიტყვიერ მემკვიდრეობაში დამუშავდა. ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს: „ზარიფ ეფენდის ჭაში ჩაგდება და სიკვდილი შურიანი ძმების მიერ იოსების მოკვლას ჰგავს. ენიშნეს მკვლელობაც იმას ჰგავს, ხოსროვის ვაჟმა ახალგაზრდა დედინაცვალს თვალი რომ დაადგა და ამიტომ მამა საიქიოს გაისტუმრა“²⁰. აქ ინტერტექსტუალობა ცხად ინტერპრეტაციად წარმოგვიდგება ინტერპრეტატორის როლში კი რომანის პერსონაჟი გვევლინება.

¹⁶ ალექსანდრე გვახარია, ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, ტომი I (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995), 228.

¹⁷ ფამუქი, მე წითელი მქვია, 413.

¹⁸ ფამუქი, მე წითელი მქვია, 235.

¹⁹ როლან ბარტი, „ავტორის სიკვდილი“, სჯანი III (2002): 55.

²⁰ ფამუქი, მე წითელი მქვია, 333.

ცხადია, ინტერპრეტაცია, განმარტება, ახსნა ინტერტექსტუალობის ერთ-ერთი ფუნქციაა და „მე წითელი მქვია“, უპირველესად, ამ თვალსაზრისით იყენებს კლასიკური სპარსული ლიტერატურის ნიმუშებს. გარდა ამისა, ის (ინტერტექსტუალობა) კარგი საშუალებაა პერსონაჟის პორტრეტის ხატვისათვის. ჩვენს მაგალითში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ჩანს მისი გამაერთიანებელი ფუნქცია, რომელიც სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ნიმუშებს ერთმანეთს აახლოებს. უპირველესად კი, იგი გვიმჟღავნებს ავტორის შემოქმედებით სტილს, სწორედ იმ ავტორისას, რომელიც პოსტმოდერნის სცენაზე თითქოს ჩრდილში აღმოჩნდა. ავტორის ეს განკერძოება, სხვათა სიტყვის მრავალხმიანობაში ჩაკარგვა არის ის ნიშანი, რომელიც მის გამორჩეულობას, ინდივიდუალობას, განსაკუთრებულ ტონალობას წარმოგვიჩენს. ფამუქის რომანში, სადაც პერსონაჟ-მთხრობელთა სიტყვა სრულად განდევნის ავტორის სიტყვას, ავტორი არ „კვდება“. არ „კვდება“ იმიტომაც, რომ „მთხრობლის თხრობაში ჩვენ მეორე ნარატივს ვკითხულობთ - ავტორის ნარატივს იმავე საკითხზე, რაზეც მთხრობელი მოგვითხრობს და გარდა ამისა - თავად მთხრობელზეც. თხრობის ყოველ მომენტში ჩვენ მკაფიოდ გავიაზრებთ თავს ორ დონეზე - მთხრობლის დონეზე მის საგნობრივ-აზრობრივ და გამომსახველობით თვალსაწიერში და ავტორის დონეზე, რომლის სიტყვაც გარდატყდება ამ მონათხრობით და ამ თხრობაში“²¹.

ერთ-ერთ ინტერვიუში მარკესი წერს: „ლიტერატურა მეცნიერებაა, რომელსაც უნდა დაეუფლო, ყოველი მოთხრობის უკან, რომელიც ახლა იწერება, ლიტერატურის განვითარების ათი ათასი წელი დგას“. აქვე იგი იხსენებს ჰემინგუეის რჩევებს შემოქმედებითი მეთოდისა და ტექნიკის შესახებ: ყოველი უბრალო მოთხრობა იმას კი არ ეყრდნობა, რაც გარედან ჩანს, არამედ იმას, რაც მის სიდრმეშია დაფარული, ანუ შესწავლილი მასალის უზარმაზარ მოცულობას, ყველაფერ იმას, რაც აუცილებელია მცირე მოთხრობის დასაწერად. ესაა აისბერგი, ყინულის ლოდი, რომლის მხოლოდ ერთი მერვედი ჩანს, შვიდი მერვედი კი წყლითაა დაფარული და სწორედ მასზეა დაფუძნებული ყველაფერი²². აისბერგს მოგვაგონებს ორჰან ფამუქის რომანიც, რომლის სტრუქტურული თუ სიუჟეტური პოეტიკის თავისებურებანი მრავალსახოვან ოსმალურ კულტურას ეყრდნობა. თავად ამ მრავალსახოვნებაში კი არსებითი წილი სწორედ ირანულ კულტურას ეკუთვნის.

ფამუქის რომანის ინტერტექსტუალობა დიალოგს მსოფლმხედველობრივ სიბრტყეზე გადაიტანს. ეს მარტოოდენ ორ ტექსტს შორის ურთიერთობა არ არის, რომლის ამოცნობაც აღმოსავლურ სამყაროსთან დაახლოებულმა მკითხველმა უნდა შეძლოს. „მე წითელი მქვია“ თანადროული თურქული საზოგადოების კოლექტიურ მეხსიერებასაც მიემართება. იგი უფრო ორი (და მეტი) კულტურის დიალოგია - ბახტინისეული პოლიფონია.

²¹ Михаил Бахтин, Вопросы литературы и эстетики (Москва: Художественная литература, 1975), 127.

²² Габриэль Гарсиа Маркес, Писатели Латинской Америки о литературе (Москва: Радуга, 1982), 263.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გვახარია, ალექსანდრე. *ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან*, ტომი I. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995.
2. ბარტი, როლან. „ავტორის სიკვდილი.“ *სჯანი III* (2002).
3. ფამუქი, ორჰან. *მე წითელი მქვია*. თურქულიდან თარგმნა ლია ჩლაიძემ. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2017.
4. ეკო, უმბერტო. *ვარდის სახელი*, თბილისი: დიოგენე, 2011.
5. Бахтин, Михаил. *Вопросы литературы и эстетики*. Москва: Художественная литература, 1975.
6. Гвахария, А.А. „Вис о Рамин“ Фахраддина Горгани и „Хосров о Ширин“ Низами
7. Гянджеви.“ *თსუ შრომები*, 116 (1965).
8. Кристева. Юлия, *Французская семиотика - От структурализма к постструктурализму: Бахтин, слово, диалог и роман*. Москва: 2000.
9. Маркес, Габриэль Гарсиа. *Писатели Латинской Америки о литературе*, Москва: Радуга, 1982.
10. განჯელი, ნიზამი, „ხოსროვი და შირინი“ (სპარსულ ენაზე)
11. <https://ganjoor.net/nezami/5ganj/khosro-shirin>